

# GC აღმანახი

*№10/11, ოქტომბერი / ნოემბერი, 2020 წ.*



## სარჩევი

ირანზე ჩვეულებრივი შეიარაღების იმპორტის ემბარგო მოიხსნა.....	3
უკრაინა თურქული ბაირაქთარების წარმოების დაწყებას აპირებს.....	4
ჩინეთის არმია მომავალი ხუთწლედისათვის ემზადება.....	6
აშშ ევროპისა და აფრიკის სარდლობებს აერთიანებს.....	7
ევროკავშირი ანტი-ტერორისტული პოლიტიკის განახლებას გეგმავს.....	9
„თავისუფლების მარშები“ საფრანგეთში - მანიფესტაციები გლობალური უსაფრთხოების თაობაზე საკანონმდებლო წინადადების წინააღმდეგ.....	10
ევროკავშირმა ევროპული დემოკრატიის ახალი სამოქმედო გეგმა მიიღო.....	12
საპარლამენტო არჩევნების საერთაშორისო გამოხმაურება .....	15
<i>შეერთებული შტატების საელჩო.....</i>	<i>16</i>
<i>ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში.....</i>	<i>17</i>
<i>ეუთო ოფისი.....</i>	<i>17</i>
აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მაიკლ პომპეოს ვიზიტი საქართველოში.....	19

გიორგი ანთაძე, „ჯეოქეისი“-ს მკვლევარი

### ირანზე ჩვეულებრივი შეიარაღების იმპორტის ემბარგო მოიხსნა



როგორც ირანის საგარეო სამინისტრო იუწყება, ჩვეულებრივ შეიარაღებაზე გაეროს მიერ დაწესებული ემბარგო 18 ოქტომბრიდან მოხსნილია. ყველა შეზღუდვა რომელიც შეიარაღების გადაზიდვას, მასთან დაკავშირებულ სხვადასხვა მოქმედებებსა და ფინანსურ ოპერაციებს გულისხმობს მიმდინარე წლის 18 ოქტომბრიდან ირანის მხარისათვის ნებადართულია.

თეორიაში, ირანს კვლავინდებურად მიეცემა შესაძლებლობა შეიძინოს და გაყიდოს კიდევ კონვენციური შეიარაღება, როგორცაა ტანკები, საბრძოლო თვითმფრინავები, მძიმე არტილერია და აშ.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ემბარგოს მოხსნის წინააღმდეგი იყო აშშ, რომელიც აღნიშნული შესაძლებლობის ირანისათვის დაბრუნებას განიხილავს როგორც გამოწვევას გლობალური უსაფრთხოებისათვის.

თუმცა ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით ირანს არ ჭირდება იარაღის მნიშვნელოვანი ექსპორტი, ვინაიდან „ქვეყნის თავდაცვის დოქტრინა ემყარება ირანელი ხალხის მედეგობას და ადგილობრივ შესაძლებლობებს“.

ასევე აღინიშნა, რომ არა კონვენციურ შეიარაღებასა და იარაღს ადგილი არ გააჩნია ირანის თავდაცვის დოქტრინაში.

მიუხედავად ამისა, ემბარგოს მოხნა ირანის ოფიციალური პირების მიერ საზეიმოდ აღინიშნა, მათ შორის ირანის პრეზიდენტის ჰასან როხანის მიერ. საგარეო საქმეთა მინისტრის მოჰამედ ჯავად ზარიფის განცხადებით კი - „ირანის სამხედრო სფეროში მსოფლიოსთან თანამშრომლობის გახსნა ხელს უწყობს მულტილატერალიზმს და მშვიდობასა და უსაფრთხოებას რეგიონში“.

აღნიშნული წარმატების მიუხედავად, ირანი მაინც რჩება მნიშვნელოვანი სანქციების ქვეშ, მათ შორის აშშ-ის მიერ დაწესებული ეკონომიკური ხასიათის შეზღუდვებით, რამაც ნაღდი ფულის სერიოზული პრობლემა შექმნა ირანში.

აღნიშნული ემბარგო გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ 2007 წელს იყო დაწესებული. ემბარგოს მოხსნის შესახებ შეთანხმება ირანის 2015 წლის ბირთვული შეთანხმების ნაწილი იყო, რომელიც ირანმა რუსეთთან, ჩინეთთან, გერმანიასთან, ბრიტანეთთან, საფრანგეთთან და აშშ-თან მოაწერა.

აშშ შეეცადა ემბარგოს მოხსნის შეჩერებას, თუმცა გაეროს უშიშროების საბჭოს წინააღმდეგობა ვერ გადალახა.

მიუხედავად ირანის ოფიციალური პირების განცხადებების, აღნიშნული ემბარგოს მოხსნა ირანის შეიარაღებული ძალების განვითარებისათვის ახალ შესაძლებლობებს აჩენს.

### **უკრაინა თურქული ბაირაქთარების წარმოების დაწყებას აპირებს**

ყარაბაღში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებმა ნათელი გახადა თანამედროვე სისტემებისა და მათ შორის დრონების მნიშვნელობა საბრძოლო სივრცეზე წარმატებისათვის.

ამის ფონზე მნიშვნელოვნად იმატა ანკარასა და კიევს შორის დაახლოებამ სხვადასხვა მიმართულებით.



როგორც უკრაინის სტრატეგიული სამრეწველო დარგების საკითხებში ვიცე-პრემიერმა ოლეგ ურუსკიმ განაცხადა, უკრაინა ემზადება თურქული „ბაირაკთარების“ ტიპის დრონების საწარმოს გასახსნელად.

მისი თქმით, თურქული მხარე მზადაა განახორციელოს ინვესტიცია აღნიშნული მიმართულებით და შექმნას ადგილობრივი მუშახელით და სპეციალისტებით დაკომპლექტებული წარმოება, რომელიც აღნიშნულ დრონებს გამოუშვებს, როგორც უკრაინისათვის, ასევე ექსპორტზე გასატანად.

ამასთან ერთად კიევი და ანკარა განიხილავენ რამდენიმე ერთობლივი საწარმოს გახსნას მათ შორის, ტანკსაწინააღმდეგო სისტემების, დრონებისათვის, ვერტმფრენებისა და თვითმფრინავებისთვის განკუთვნილი საავიაციო ძრავების წარმოებისათვის. ასევე განიხილება უკრაინის საზღვაო ძალებისათვის თურქული კორვეტების ადგილზე წარმოება.

როგორც ჩანს, სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის ხარისხი კიევსა და ანკარას შორის სულ სხვა ხარისხობრივ დონეზე ადის.

## ჩინეთის არმია მომავალი ხუთწლეულისათვის ემზადება



(ჩინეთის პრეზიდენტი სი ძინპინი ჯარების ინსპექტირების დროს)

ჩინეთის მომდევნო 15-ე ხუთწლეულის განვითარების გეგმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი, ჩინეთის სახალხო არმიის მოდერნიზირების გაგრძელებაა. გეგმის მიხედვით, ჩინეთის არმია 2027 წლისათვის, სრულად მექანიზირებული და სრულად ინფორმაციული უნდა იყოს. აღნიშნული თარიღი სიმბოლურ მნიშვნელობასაც ატარებს, ვინაიდან ჩინეთის სახალხო არმია 1927 წელს დაარსდა და 2027-ში მისი დაარსებიდან 100 წელი ხდება.

თუმცა, უნდა აღინიშნოს რომ, მოდერნიზირების და გაციფრულობის ხარისხის გაზრდა, მოთხოვთ ან რაოდენობის შემცირებას, ან თავდაცვის ბიუჯეტის საგრძნობლად კიდევ გაზრდას.

ამავდროულად, აღნიშნული დამატებითი ძალისხმევა 12-ე და 13-ე ხუთწლეულების პერიოდში ჩინეთის სახალხო არმიაში მიმდინარე პროცესის შედეგებსაც დაეყრდნობა. გასულ პერიოდში ჩინეთმა ეკიპირების დიდი ნაწილის მოდერნიზირება მოახდინა. ამ დროისათვის, მას მსოფლიოში ყველაზე დიდი ფლოტი და ავიაცია გააჩნია. რაც უფრო მნიშვნელოვანია, ჩინეთმა დოქტრინის განვითარებაც შეძლო, რომელიც ისეთ კონცეფციებს ემყარება როგორებიცაა: „ინტეგრირებული (გაერთიანებული) ოპერაციები“ და „სამხედრო-სამოქალაქო შერწყმა“. ამასთან ერთად მოხდა სახალხო არმიის რადიკალური რეორგანიზაცია, სადაც გაჩნდა ახალი სტრატეგიული მხარდაჭერის ძალები და მოხდა ახალი „ომის ზონების“, იგივე „მართვის თეატრების“ შექმნა, რომელთაც ტრადიციული სამხედრო რეგიონები ჩაანაცვლა.



მომდევნო წლები განხორციელებული მოდერნიზაციის და ცვლილებების შედეგებისა და წარმატების ანალიზსა და შემდგომ კორექტირებას დაეთმობა, რის შემდეგაც მომავალში მოსალოდნელი, მოდერნიზაციის შემდეგ საფეხურზე გადასვლა.

აღსანიშნავია, რომ ჩინეთის სახალხო არმიის ამდაგვარი მრავალწლიანი მოდერნიზაციის პროცესის, საკმაოდ რაციონალურად და რესურსების დაზოგვის გზით მიმდინარეობს. როგორც ჩანს, ჩინეთი აშშ-ის და მისი რეგიონალური მოკავშირეების მთავარი საზრუნავი და „თავის „ტკივილი“ იქნება უახლოესი დეკადების განმავლობაში.

### აშშ ევროპისა და აფრიკის სარდლობებს აერთიანებს



კრისტოფერ კავოლი -აშშ-ის არმიის გაერთიანებული ევროპისა და აფრიკის სარდლობის ახალი მეთაური (Markus Rauchenberger/U.S. Army Europe)

20 ნოემბერს გავრცელებული ოფიციალური განცხადების მიხედვით, აშშ ევროპისა და აფრიკის სარდლობებს აერთიანებს ერთიან მართველობაში. ახალი სარდლობის სახელი იქნება აშშ-ის არმია ევროპა და აფრიკა. ახალი ძალების აკრონიმია USAREUR-AF. ახალი სარდლობის მეთაური ოთხ ვარსკვლავიანი გენერალი კრისტოფერ კავოლი იქნება.

განცხადების მიხედვით, აღნიშნული ცვლილება გლობალური და რეგიონალური მზადყოფნის გაუმჯობესებას ემსახურება, რომელიც ეროვნული თავდაცვის სტრატეგიის მოთხოვნა არის. ახალი სტრუქტურა გაზრდის მართვისა და კონტროლის ეფექტურობას,

მოქნილობასა და დიდი მასშტაბის, გაერთიანებული, მულტი დომეინური ოპერაციების განხორციელების შესაძლებლობას. აღნიშნული სარდლობა, მნიშვნელოვან როლს ითამაშებს ორი ურთიერთდაკავშირებულ ოპერაციათა არეში მიმდინარე ოპერაციებში.

აშშ-ის არმიის აფრიკა/სამხრეთ ევროპის ოპერატიული დაჯგუფება ასევე შეიცვალა და მას აშშ-ის არმიის სამხრეთ ევროპის ოპერატიული დაჯგუფება -აფრიკა -იგივე SETAF-AF ერქმევა.

გაერთიანების კიდევ ერთი დადებით მხარეს წარმოადგენს ის, რომ უმაღლესი სამეთაურო-საშტაბო მართვის ცენტრი სტრატეგიული დონის ამოცანებზე იქნება კონცენტრირებული, ხოლო SETAF-AF და ახლახან კვლავ გააქტიურებული ე.წ. „V Corps“ ფოკუსირებული იქნება მოკავშირეებთან და პარტნიორ ქვეყნებთან მზადყოფნისა და ურთიერთ თავსებადობის ხარისხის გაზრდაზე.

SETAF-AF აფრიკასა და იტალიაში არსებულ აქტივებსა და ასევე აღნიშნულ რეგიონში ოპერაციებზე იქნება პასუხისმგებელი და მისი კოორდინაცია პირდაპირ აშშ-ის აფრიკის სარდლობიდან მოხდება.

აშშ-ის ევროპის სარდლობა განთავსებულია გერმანიის ქალაქ ვიესბადენში, ხოლო აშ-ის არმიის აფრიკის სარდლობა იტალიის ქალაქ ვიჩენცაში. ამ დრომდე, განცხადების მიხედვით, გაუგებარი რჩება იგეგმება თუ არა რაიმე ფიზიკური გადაადგილებები შტაბბინებს შორის.



ლოკა ჭიპაშვილი, „ჯეოქეისი“-ს მკვლევარი

## ევროკავშირი ანტი-ტერორისტული პოლიტიკის განახლებას გეგმავს

მიმდინარე წლის 10 ნოემბერს, ევროკავშირში მინი ევროპული სამიტი გაიმართა, სადაც ევროკომისიის, ევროპული საბჭოს, ავსტრიის, გერმანიის, ნიდერლანდების სამეფოსა და საფრანგეთის ლიდერებმა იმსჯელეს ახალი ევროპული ანტი-ტერორისტული პოლიტიკის თაობაზე.

ევროპულ გაერთიანებაში აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით აქტუალური ბოლო კვირების განმავლობაში საფრანგეთსა და ავსტრიაში მომხდარი ტერორისტული აქტების შემდეგ გახდა. კერძოდ, 16 ოქტომბერს, საფრანგეთის დედაქალაქის ერთ-ერთ გარეუბანში, თავი მოჰკვეთეს ისტორიის პედაგოგს, 47 წლის სამუელ პატის, რომელმაც გამოხატვის თავისუფლების გაკვეთილზე, საკლასო ოთახში, წინასწარმეტყველ მუჰამედის კარიკატურა აჩვენა; 29 ოქტომბერს კი, ქალაქ ნიცის ერთ-ერთ ეკლესიაში, შეიარაღებულმა თავდამსხმელმა სამი ადამიანი მოკლა, მათ შორის, ერთ-ერთს თავი მოჰკვეთა; ტერორისტული აქტი განხორციელდა, ასევე, ავსტრიის დედაქალაქ ვენაში - ერთდროულად სხვადასხვა ლოკაციაზე, ამა წლის 2 ნოემბერს, რომლის დროსაც გარდაიცვალა ოთხი და დაშავდა 15 მოქალაქე.

ევროპული კომისიის პრეზიდენტის, ურსულა ვონ დერ ლაიენის [განცხადებით](#), ევროკავშირში ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ნაწილში გაძლიერებული იქნება საპრევენციო სახის მექანიზმები. ევროპის ახალი ანტი-ტერორისტული გეგმა საზოგადოებისთვის ცნობილი მიმდინარე წლის დეკემბერში გახდება. აღნიშნული ხედვა ძირითადად [მოიცავს](#) ევროკავშირის წევრი ქვეყნების სამართალდამცავ სტრუქტურებს შორის თანამშრომლობის გაძლიერებას, მათ შორის, მონაცემთა ერთიანი ბაზის განვითარებას; ტერორისტული და სიძულვილის ენის შემცველი პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლას სოციალურ ქსელში, რაც გულისხმობს, უწინარესად, მსგავსი შინაარსის პუბლიკაციების დროულ იდენტიფიცირებას და წაშლას ინტერნეტ სივრცეში; ასევე, ევროკავშირის გარე საზღვრების დაცვის გაძლიერება იქნება ევროპის ახალი ანტი-ტერორისტული პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება, მათ შორის, შენგენის ზონის რეფორმირება, რომლის ნაწილში განიხილება ახალი სანქციების დაწესება მათ წინააღმდეგ, ვინც დაარღვევს შენგენის სივრცის ფუნქციონირების თაობაზე ნაკისრ ვალდებულებებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, საქართველომ მიიღოს შესაბამისი სახის ახალი ზომები ევროკავშირის/შენგენის სივრცეში პოსტ-პანდემიურ პერიოდში მოსალოდნელი არალეგალური მიგრაციის პრევენციისთვის.

**„თავისუფლების მარშები“ საფრანგეთში - მანიფესტაციები გლობალური უსაფრთხოების თაობაზე საკანონმდებლო წინადადების წინააღმდეგ**

მიმდინარე წლის ნოემბრის მე-2 ნახევრიდან საფრანგეთის რესპუბლიკის მასშტაბით მასობრივი საპროტესტო აქციები იმართება; მათ შორის, ზოგიერთი ძალადობრივ ხასიათში გადაიზარდა და პოლიციელებსა და მანიფესტანტებს შორის ადგილი ჰქონდა დაპირისპირებებს, რომლის დროსაც დაშავდა ათეულობით - როგორც დემონსტრანტი, ასევე სამართალდამცავი.



© <https://www.leparisien.fr/>

მანიფესტანტები პრეზიდენტ ემანუელ მაკრონის პარტიის მიერ ინიცირებულ საკანონმდებლო წინადადებას - ე.წ. გლობალური უსაფრთხოების კანონს აპროტესტებენ, განსაკუთრებულ უკმაყოფილებას იწვევს საკანონმდებლო წინადადების 24-ე მუხლი. აღნიშნული მუხლის თანახმად, საფრანგეთში აიკრძალება სამართალდამცავი უწყებების წარმომადგენელთა ფოტო-ვიდეო გადაღება უშუალოდ მათი პროფესიული საქმიანობის განხორციელების პროცესში და შესაბამისად, პოლიციელთა მაიდენტიფიცირებელი

ისეთი ფოტო-ვიდეო მასალის გავრცელება სოციალურ მედიაში, რომელიც მიჩნეულ იქნება - როგორც დამაზიანებელი პოლიციელთა ფიზიკური და ფსიქიკური ხელშეუხებლობის უფლებისა. დამრღვევთათვის საკანონმდებლო წინადადებით გათვალისწინებული სასჯელი 1 წლამდე პატიმრობას და 45 000 ევროს ოდენობით ჯარიმას გულისხმობს.

საკანონმდებლო წინადადების მომხრეთა მოსაზრებით, იგი ეფუძნება პრინციპს „*დამცველთა დაცვა*“ და მიმართულია მხოლოდ და მხოლოდ სამართალდამცავი უწყებების წარმომადგენელთა მეტი უსაფრთხოების უზუნველსაყოფად, განსაკუთრებით ქვეყანაში არსებული მაღალი ტერორისტული საფრთხის გათვალისწინებით.

მანიფესტანტები კი, რომელთა შორის ასევე არიან მედია წარმომადგენლები და ე.წ. ყვითელუკლები, საკანონმდებლო წინადადებას დემოკრატიისა და ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართულად მიიჩნევენ. მათი მოსაზრებით, *გლობალური უსაფრთხოების თაობაზე საკანონმდებლო წინადადება*, საერთო ჯამში, ზრდის სამართალდამცავი უწყებების ძალაუფლებას და მათ მოქალაქეთა კონტროლის მეტ საშუალებას აძლევს, 24-ე მუხლი კი ეწინააღმდეგება უშუალოდ პრესის თავისუფლებას. მანიფესტანტების განცხადებით, მოცემული საკანონმდებლო წინადადების დამტკიცების შემთხვევაში, შეიზღუდება მედია წარმომადგენლების საქმიანობის თავისუფლება, ისევე როგორც რიგითი მოქალაქეების, ვინაიდან ისინი ვეღარ შეძლებენ ფართოდ გაასაჯაროვონ ისეთი ფოტო-ვიდეო მასალა, რომელიც ეხება, მაგალითად, პოლიციელთა უფლებამოსილების გადამეტების ფაქტებს.

საპროტესტო აქციების მიუხედავად, საფრანგეთის რესპუბლიკის პარლამენტის ქვედა პალატამ - ეროვნულმა ასამბლეამ უმრავლესობით უყარა კენჭი *გლობალური უსაფრთხოების თაობაზე საკანონმდებლო წინადადებას*, რომელიც საბოლოო დამტკიცებისთვის განხილულ იქნება პარლამენტის ზედა პალატაში - სენატში, 2021 წლის იანვარში. თუმცა, ეროვნულ ასამბლეაში უმრავლესობის მიერ აღნიშნული საკანონმდებლო წინადადების მხარდაჭერის შემდგომ, მმართველი პარტიის წარმომადგენლებმა [განაცხადეს](#), რომ საკანონმდებლო წინადადებით გათვალისწინებული 24-ე მუხლის ამდენად საპოლემიკო შინაარსი გადაიხედება და საბოლოოდ, იგი ამჟამინდელი ფორმით არ იქნება დამტკიცებული.

ნიშანდობლივია, რომ საფრანგეთის ხელისუფლების პოზიციის ცვლილებას მოცემული საკანონმდებლო წინადადების თაობაზე წინ უძღოდა ფართოდ გახმაურებული ორი საქმე - ე.წ. *მიშელ ზეკლერისა და პარიზის რესპუბლიკის მოედნიდან მიგრანტების ბანაკების დემონტაჟი*. აღნიშნულმა საქმეებმა ფართო საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია მას შემდეგ, რაც საჯაროდ გავრცელდა კადრები, სადაც ასახულია პოლიციელთა მხრიდან ძალის გადამეტები ფაქტები მოქალაქეებზე. კერძოდ, 23 ნოემბრით დათარიღებულ პარიზის *რესპუბლიკის მოედნიდან* მიგრანტების ბანაკების დემონტაჟის ამსახველ



კადრებში ჩანს სამართალდამცველთა უფლებამოსილების გადამეტება დემონსტრანტების, მათ შორის - მედია წარმომადგენლის, მიმართ. კადრებს შოკისმომგვრელი [უწოდა](#) საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა და შესაბამისი ზომების მიღების თაობაზე გააკეთა განცხადება.

მოგვიანებით, საფრანგეთში საჯაროდ გავრცელდა ასევე კადრები, სადაც ასახულია ფერადკანიანი მიშელ ზეკლერის დაკავების ფაქტი. ერთ-ერთი მედია საშუალების მიერ გასაჯაროვებული ვიდეო-მასალა, რომელიც სამეთვალყურეო კამერითაა გადაღებული, ასახავს ზეკლერის დაკავების დროს პოლიციელთა მხრიდან ძალის გადამეტებას. ამასთან, შავკანიანი მამაკაცის განცხადებით, პოლიციელები დაკავების პროცესში მას რასობრივ ნიადაგზე შეურაცხყოფას აყენებდნენ. აღნიშნულ ფაქტს გამოეხმაურა თავად საფრანგეთის პრეზიდენტი, ემანუელ მაკრონი და [განაცხადა](#): „კადრები, რომლებიც ყველამ ვიხილეთ და სადაც ასახულია მიშელ ზეკლერის წინააღმდეგ ძალადობა, მიუღებელია. ეს სამარცხვინოა თითოეული ჩვენგანისთვის. საფრანგეთმა არასოდეს უნდა დაუშვას ძალადობა ან სისასტიკე და არ აქვს მნიშვნელობა, ვისგან მომდინარეობს ის. საფრანგეთმა არასოდეს უნდა დაუშვას, რომ სიძულვილი ან რასიზმი აყვავდეს“.

ზემოაღწერილი კონტექსტის მიღმა, ფრანგი მანიფესტანტების უკმაყოფილებას გლობალური უსაფრთხოების საკანონმდებლო წინადადების თაობაზე, ასევე, თან ერთვის Covid-19-ის პანდემიით გამოწვეული სანიტარული კრიზისი და მისი თანმდევი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები.

ამ ეტაპზე, უცნობია, თუ როგორ იქნება ინტერპრეტირებული ხსენებული საკანონმდებლო წინადადების სადავო შინაარსი და იქნება თუ არა იგი საბოლოოდ დამტკიცებული.

### **ევროკავშირმა ევროპული დემოკრატიის ახალი სამოქმედო გეგმა მიიღო**

„ახალი ტექნოლოგიები და სოციალური მედია უნდა იყოს არა მანიპულაციის, არამედ ემანსიპაციის ხელშემწყობი“ - [მიიჩნევს](#) ევროპული კომისიის ვიცე-პრეზიდენტი, ვერა ჟუროვა. დემოკრატიულ წყობილებაში მოქალაქეთა თავისუფალი და ინფორმირებული არჩევანის უზრუნველყოფის და დეზინფორმაციის, განსაკუთრებით ონლაინ სივრცეში, წინააღმდეგ ბრძოლის მოტივით, გასულ კვირას ევროკომისიამ საზოგადოებას [ევროპული დემოკრატიის ახალი სამოქმედო გეგმა წარუდგინა](#).

ექსტრემისტულ დაჯგუფებებთან, ნაციონალისტურ-პოპულისტური განწყობების მქონე მოძრაობებთან თუ დეზინფორმაციასთან დაკავშირებული მზარდი საფრთხეების

გათვალისწინებით, ახალი სამოქმედო გეგმა მიზნად ისახავს ევროკავშირში დემოკრატიული მმართველობის მდგრადობის ხელშეწყობას და მოქალაქეებსა და გადაწყვეტილებების მიმღებთ შორის მეტ სიახლოვეს.



მსგავსად მსოფლიოსი, ახალი კორონავირუსის პანდემიამ ევროკავშირის მასშტაბითაც განსაკუთრებით ცხადყო იმ საფრთხის მნიშვნელობა დემოკრატიისთვის, რაც უკავშირდება ე.წ. ფეიკ ნიუსებსა თუ ანტი-დასავლურ პროპაგანდას, განსაკუთრებით ონლაინ სივრცეში. Covid-19-თან დაკავშირებულმა ინფოდემიამ ნათლად წარმოაჩინა დეზინფორმაციის მექანიზმის ფართო ბუნება, რომ იგი არ უკავშირდება მხოლოდ ექსტრემისტული ან პოლიტიკური მიზნების მიღწევას და მას არანაკლებ უარყოფითი გავლენის მოხდენა შეუძლია თვით ადამიანის ჯანმრთელობაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ევროპული დემოკრატიის ახალი სამოქმედო გეგმა ძირითადად ფოკუსირებულია შემდეგ სამ მიმართულებაზე: თავისუფალი და სამართლიანი საარჩევნო პროცესის ხელშეწყობასა და მოქალაქეთა მონაწილეობის ზრდაზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში; თავისუფალი და დამოუკიდებელი მედიის მხარდაჭერასა და დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლაზე.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ [სხვადასხვა ტიპის ზომებს](#) შორის, საგულისხმოა: ევროკავშირის მასშტაბით ონლაინ სივრცეში პოლიტიკური რეკლამის დაფინანსების გამჭვირვალობასთან დაკავშირებული საკითხის რეგულირება, სამომავლოდ, საკანონმდებლო დონეზე; ასევე, ევროპული დემოკრატიის ახალი გეგმა მოიცავს



პრევენციული ზომების მიღებას *ჟურნალისტთა უსაფრთხოების* მეტად უზრუნველყოფისა და მათი ძალადობისგან დაცვის მიზნით, როგორც ფიზიკურ, ასევე ვირტუალურ სივრცეში, განსაკუთრებით ქალი ჟურნალისტების დაცვას მუქარისა თუ შეურაცხყოფის შემცველი თავდასხმებისგან ონლაინ სივრცეში; აღნიშნული გეგმა, აგრეთვე, მიზნად ისახავს ონლაინ პლატფორმების ანგარიშვალდებულებისა და პასუხისმგებლობის გაზრდას დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით, მათ შორის, განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებას ევროპულ საინფორმაციო სივრცეში უცხოური პროპაგანდისტული ქმედებების პრევენციასა და მათ აღკვეთაზე, შესაბამისი სახის ფინანსური სანქციების დაწესების გზით.

მოცემული *ევროპული დემოკრატიის სამოქმედო გეგმა* ნაწილია ევროკომისიის პრეზიდენტის, ურსულა ვონ დერ ლაიენის იმ პრიორიტეტული პოლიტიკისა, რაც მისი მანდატის პერიოდში ევროკავშირში ადამიანის უფლებების დაცვას, კანონის უზენაესობის განმტკიცებას და ზოგადად, ევროპული დემოკრატიული სისტემის მდგრადობის ხელშეწყობას უკავშირდება. მათ შორის, განსაკუთრებით აღსანიშნავია ე.წ. *ევროპული მაგნიტსკის აქტის* ინიციატივა, რომლის თაობაზე უკვე შეჯერდნენ ევროპელი ლიდერები და რომელსაც ევროკავშირი უახლოეს პერიოდში, მიმდინარე წლის ბოლომდე მიიღებს.

ოლეგ (ბაჩო) თორთლაძე, „ჯეოქეისი“-ს მკვლევარი

### საპარლამენტო არჩევნების საერთაშორისო გამოხმაურება



© <https://publika.ge/dghes-saqartveloshi-saparlameto-archevnebi-imarteba/>

2020 წლის 31 ოქტომბერს საქართველოში საპარლამენტო არჩევნები გაიმართა, რომელსაც უნდა გაერკვია პროპორციული და მაჟორიტარული წესით გასანაწილებელი 150 მანდატის ბედი. კენჭისყრის დასრულებისა და პირველადი შედეგების გამოცხადების მიუხედავად, ოპოზიციური პარტიები არ აღიარებენ რეზულტატების ლეგიტიმურობას და პარალელურად მიმართავენ სამართლებრივ მექანიზმებსა და დემონსტრაციებს. რეგიონში მიმდინარე სამხედრო და პოლიტიკური პროცესების არქიტექტურის გათვალისწინებით, კრიტიკულ მნიშვნელობას იძენს საქართველოს დემოკრატიული განვითარების შენარჩუნება. დასავლეთთან სტრატეგიული პარტნიორობა და პრეტენზია სამხრეთ კავკასიაში დემოკრატიის უკანასკნელ ბასტიონობაზე ბუნებრივად აჩენს ქვეყანაში მიმდინარე პროცესების მიმართ ინტერესს ჩვენს მეგობარ სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში. საქართველო რეფორმების განხორციელებისას მნიშვნელოვან ტექნიკურ და ფინანსურ დახმარებას იღებს პარტნიორებისგან, ამდენად,

მნიშვნელოვანია მათი რჩევების გათვალისწინებაც, ამ რთულ გზაზე, დაშვებული შეცდომების წარმატებულად გამოსწორების თვალსაზრისით.

გარდამავალი დემოკრატიის მქონე ქვეყნისთვის ყოველთვის ყურადსაღებია უნდა იყოს კვალიფიციური ნეიტრალური აქტორის შეფასება ქვეყანაში მიმდინარე საკვანძო პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებით. იმ პირობებში, როდესაც ასეთი განცხადება პარტნიორის მხრიდან კეთდება, ეს უნდა აღიქმებოდეს არა საშინაო საქმეებში ჩარევად, არამედ- მხარდაჭერის პრაქტიკულ შესტად. საქართველოში ჩატარებული არჩევნების პირველ ტურთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა არა ერთმა აქტორმა, მათ შორის, შეერთებული შტატების საელჩომ, ევროკავშირის წარმომადგენლობამ საქართველოში და ეუთო ოდირმა.

### *შეერთებული შტატების საელჩო*

შტატების საელჩოს [განცხადებაში](#), პოზიტიურ კონტექსტში, აღნიშნულია ამომრჩეველთა მაღალი აქტივობა, რაც, პანდემიის გათვალისწინებით, შეფასებულია, როგორც „ხალხის მიერ დემოკრატიისადმი გამოვლენილი ერთგულება“. კენჭისყრის დღესთან დაკავშირებით, საელჩო იზიარებს ეუთო ოდირის პირველად შეფასებას, რომლის თანახმადაც „საქართველოს საპარლამენტო არჩევნები კონკურენტულ გარემოში და ზოგადად ძირითადი თავისუფლებების დაცვით ჩატარდა“. განცხადებაში ასევე ხაზგასმულია ნაკლოვანებები, რომლებიც პირველ ტურში გამოიკვეთა, კერძოდ, საელჩოს განმარტებით „ამომრჩეველებზე ზეწოლის შესახებ ფართოდ გავრცელებული ბრალდებები და მმართველ პარტიასა და სახელმწიფოს შორის საზღვრის ბუნდოვანება საარჩევნო პროცესის ზოგიერთი ასპექტის მიმართ საზოგადოების ნდობას ამცირებდა“. აქვე, გაჟღერებულია მოწოდება საარჩევნო სუბიექტებისადმი, რომ გაითვალისწინონ ხარვეზები არჩევნების მეორე ტურისთვის. ძალიან საგულისხმოა პასაჟი განცხადებიდან, რომელიც ეხება არჩევნების შედეგების ლეგიტიმურად ცნობას და ერთმნიშვნელოვნად გამოკვეთილია პოზიცია, რომ არსებული დარღვევები შედეგების არალეგიტიმურად ცნობისთვის არ არის საკმარისი. ასევე, ყურადღებას იმსახურებს მითითება, რომ არჩევნების დროს გამოვლინდა „ამომრჩევლის დაშინება, მოსყიდვა, ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა, პარტიული და ოფიციალური საქმიანობის არამკვეთრი გამიჯვნა და საარჩევნო დამკვირვებლებსა და ჟურნალისტებზე ძალადობა“, რაც აზიანებს საარჩევნო პროცესს.

## ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში

ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახურის პრეს-სპიკერის განცხადებაში ვკითხულობთ, რომ „ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (ოდირის) და ეუთოს, ევროპის საბჭოს და ნატოს საპარლამენტო ასამბლეათა საერთაშორისო დამკვირვებლების წინასწარი მიგნებებისა და დასკვნების შესახებ ერთობლივი მოხსენების თანახმად, არჩევნები კონკურენტულ გარემოში ჩატარდა და საერთო ჯამში, ფუნდამენტური თავისუფლებები დაცული იყო“. გამოკვეთილია ხარვეზებიც, რომლებიც უკავშირდება ამომრჩეველზე ზეწოლის სავარაუდო შემთხვევებს, ასევე, მმართველ პარტიასა და სახელმწიფოს შორის ზღვარის ბუნდოვანებას. შეფასებაში აღნიშნულია მოლოდინი, რომ მაჟორიტარულ ოლქებში გასამართი მეორე ტურის დროს გათვალისწინებული იქნება აღმოჩენილი ხარვეზები, რომლებიც ინკლუზიური დიალოგის საფუძველზე უნდა აღმოიფხვრას. ევროკავშირი საარჩევნო დავების მიუკერძოებლად და სამართლიანად გადაწყვეტის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზეც ამახვილებს ყურადღებას. ზოგადი სულისკვეთებაა, რომ პროცესები ყველა საარჩევნო სუბიექტის მიერ დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის პრინციპებზე დაფუძნებით უნდა წარიმართოს.

### ეუთო ოდირი

პირველი ტურის დასრულებიდან მეორე დღეს ორგანიზაციამ გამოაქვეყნა პირველადი [ანგარიში](#), რომელშიც შეფასებულია წინასაარჩევნო გარემო, საკანონმდებლო ჩარჩო და კენჭისყრის დღე. ეუთო ოდირის ზოგადი შეფასებით, არჩევნები კონკურენტუნარიან გარემოში ჩატარდა და დაცული იყო ძირითადი თავისუფლებები. მიუხედავად სადამკვირვებლო დელეგაციის შეზღუდული რაოდენობისა, მისიამ შეძლო საკვანძო საკითხების იდენტიფიცირება. ვრცელ დოკუმენტში გამოკვეთილია არა ერთი მიმართულება, რომლებიც უკავშირდება საარჩევნო კანონმდებლობის დახვეწას, საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების წესისა და საარჩევნო კამპანიის დაფინანსების კუთხით. ანგარიში კვლავ ხაზს უსვამს პლურალისტური მედიის უკიდურეს პოლარიზაციასა და ანალიტიკის დეფიციტზე, რამაც მნიშვნელოვნად შეუშალა ამომრჩეველებს ინფორმირებული არჩევნის გაკეთებაში ხელი. ორგანიზაცია მიუთითებს საარჩევნო დავების კვალიფიციურად განხილვის მნიშვნელობასა და მე-2 ტურის დემოკრატიულად ჩატარების აუცილებლობაზე.

რეგიონში შექმნილი სამხედრო და პოლიტიკური კრიზისისა და ახალი, სახიფათო გეოპოლიტიკური გადაჯგუფების ფონზე, კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ და ოპოზიციამ გამონახონ საერთო ენა და იპოვონ

კონსენსუსის ის წერტილი, რომელიც შექმნილი პოლიტიკური ჩიხიდან გამოიყვანს ქვეყანას. უკიდურესად სამწუხაროა, რომ, მორიგ ჯერზე, საქართველოს მოქალაქე პოლიტიკოსებს შორის დიალოგის ფასილიტაცია მე-3 სახელმწიფოების წარმომადგენლებს უწევთ. ეს მოცემულობა კიდევ ერთხელ მიაჩნებს ქართული პოლიტიკური კლასის სისტემურ ნაკლოვანებაზე. აუცილებელია, რომ სამართლებრივი მექანიზმების მაქსიმალური გამოყენებით, ინტერესთა ურთიერთ შეჯერებისა და კანონის უზენაესობის პატივისცემით მხარეებმა შეძლონ შეთანხმების მიღწევა. მოლაპარაკების პროცესში მნიშვნელოვანი იქნება საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ არჩევნების შეფასებები, თუმცა, გადამწყვეტი ალბათ ის საშუალო ვადიანი პოლიტიკური პერსპექტივა იქნება, რომელსაც მოლაპარაკებაში ჩართული აქტორები დაინახავენ მიღწეული შედეგიდან გამომდინარე. საქართველოში ახლა გეოპოლიტიკური მომენტუმია, რომლის გამოყენებითაც ძალიან ბევრი პრაქტიკული ინსტრუმენტის მონეტიზაცია იქნება შესაძლებელი. ვიმედოვნოთ, რომ ამ შანსს შიდაპოლიტიკური ბატალიების პრევალირების ხარჯზე წყალს არ გაატანს ქართული პოლიტიკური ელიტა.



პროფ. ხათუნა ბურკაძე, „ჯეოქეისი“-ს მკვლევარი

### აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მაიკლ პომპეოს ვიზიტი საქართველოში



© <https://mfa.gov.ge/News/ashsh-is-tavdacvis-avtorizaciis-aqtis-mikhedvit.-s.aspx>

ამა წლის 17-18 ნოემბერს აშშ-ს სახელმწიფო მდივანი მაიკლ პომპეო საქართველოს ეწვია. პანდემიის ფონზე, რეგიონსა და ქვეყანაში არსებული ვითარების გათვალისწინებით ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ვიზიტი ცალსახად მიანიშნებს, რომ ორ ქვეყანას შორის სტრატეგიული თანამშრომლობა მტკიცეა და საქართველო სტრატეგიული პარტნიორის მხარდაჭერით შეძლებს გამოწვევებთან გამკლავებას.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანთან შეხვედრების ფარგლებში მხარეებმა განიხილეს არაერთი პრიორიტეტული საკითხი, განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული უმძიმესი ვითარების განხილვა. ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას მტკიცედ უჭერს მხარს.

ასევე, მხარეებმა ისაუბრეს ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების პროცესში ამერიკის როლის მნიშვნელობაზე. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართულებით საქართველოს მხარდაჭერის გაძლიერებაზე. პრაქტიკულად ვიზიტის შედეგად ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და საქართველომ განიხილეს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიით გათვალისწინებული ყველა პრიორიტეტული

**მიმართულება. ქვეყანაში მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე, გამოიკვეთა საარჩევნო და სასამართლო რეფორმის გაგრძელების აუცილებლობა.**

ამასთანავე, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ვიზიტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზავნილი გახლავთ დემოკრატიული ინსტიტუტების სტაბილურ გარემოში განვითარება, რაც გულისხმობს სამართლებრივი და საპარლამენტო მექანიზმების გამოყენებას, განსაკუთრებით საპარლამენტო ინსტრუმენტები იძლევა საკანონმდებლო დონეზე ისეთი ცვლილებების განხორციელების შესაძლებლობას, რომლითაც შეიძლება არსებული ხარვეზების მომავალში აღმოფხვრა.

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს აქვს მტკიცე ორპარტიული მხარდაჭერა. ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული ინტერესები რეგიონში არ იცვლება იმის მიხედვით, თუ რომელი პარტიის კანდიდატი იქნება თეთრ სახლში. ორპარტიული კონსენსუსის საფუძველზე ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა გავაღრმავოთ ამერიკის შეერთებულ შტატებთან თანამშრომლობა როგორც რესპუბლიკური, ასევე დემოკრატიული პარტიის ადმინისტრაციის პირობებში.

ამასთანავე, უდავოდ, დასაფასებელია ბოლო ოთხი წლის განმავლობაში საქართველო-ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული თანამშრომლობის მიმართულებით განხორციელებული ინიციატივები. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ აშშ-ის 2020 ფისკალური წლის ბიუჯეტში, იგივე კონსოლიდირებული ასიგნებების აქტში (Consolidated Appropriations Act), 2017-18-19 ფისკალური წლების მსგავსად, კვლავ შენარჩუნებულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ ჩანაწერი. დოკუმენტის მიხედვით, აშშ-ის დაფინანსებით ვერ ისარგებლებს ვერცერთი ქვეყნის ცენტრალური მთავრობა, რომელმაც აღიარა რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, დაამყარა მათთან დიპლომატიური ურთიერთობები, ან რამე სახით მოახდინა ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტის ხელყოფა. ამასთანავე, 2019 წლის 22 ოქტომბერს აშშ-ის წარმომადგენელთა პალატამ მიიღო საქართველოს მხარდამჭერი ორპარტიული კანონპროექტი (Georgia Support Act). ასევე, მოქმედი ადმინისტრაციის პირობებში ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის გაღრმავდა ურთიერთობები სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ოთხივე მიმართულებით.

**საბოლოო ჯამში, აღნიშნული ვიზიტი არის გზავნილი რუსეთისთვის, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისთვის საქართველო სტრატეგიული პარტნიორია.**

ამერიკის შეერთებულ შტატებთან მრავალგანზომილებიანი სტრატეგიული თანამშრომლობა საქართველოს აძლევს შესაძლებლობას მიაღწიოს მის მიზნებს ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე, რაც კიდევ უფრო მეტად გააძლიერებს ჩვენს სტრატეგიულ კავშირებს.